საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლ.დავითაშვილს

შპს „კედარი“ (ს/კ 406270627)

დირექტორის რუსუდან ნათობაიძეს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

შპს „კედარმა“ (ს/კ 406270627), რომელიც ქ.თბილისში, მისამართზე სადგური ლილო აპირებს პლასტმასის ნარჩენების მიმღებ და გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას, მიმდინარე წლის 3 მაისს შემოიტანა სკრინინგის განცხადება.

თქვენი თანამშრომლების მოთხოვნით გაწვდით დამატებით ინფორმაციას.

დანართი:

დამატებითი ინფორმაცია პლასტმასის ნარჩენების მიმღებ და გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშზე.

ღრმა პატივისცემით: რ. ნათობაიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10453
19 07 2019
1/2 ფ
02

დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდება შპს „ლორდი“-ს ტერიტორიაზე (ს/კ 01.19.14.004.220) და უფრო დაზუსტებით ის წარმოადგენს შპს „ლორდი“-ს პლასტმასის საწარმოს ერთ-ერთ უბანს (I უბანს).



შპს „ლორდი“-ს პლასტმასის ნარჩენების გადასამუშავებელი საწარმო.

მაშ. 1:1000.

2017 წელს შპს „ლორდი“-ს პლასტმასის ნარჩენების მიმღებ და გადამამუშავებელ საწარმოს ჩაუტარდა ეკოლოგიური აუდიტი და 21.11.2017 წ. მიიღო გადაწყვეტილება საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შპს „ლორდი“ აღნიშნულ უბანს, კერძოდ ნარჩენების მიღების, პირველადი დამუშავებისა და აგლომერირების საამქროს გადამოგვცემს ჩვენ - შპს „კედარ“-ს. საამქროს გადმოცემა მოხდება შპს „კედარი“-ს მიერ შესაბამისი პროცედურის გავლისა და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

ამასთანავე დამატებით გაცნობებთ, რომ აუდიტის დასკვნის მიხედვით, „ლორდი“-ს პლასტმასის ნარჩენების მიმღებ და გადამამუშავებელ საწარმოს გავლენა გარემოზე ძალზე უმნიშვნელოა, რაც კარგად ჩანს აუდიტორული შემოწმების დასკვნებში.

დასკვნები:

1. საწარმოს მუშაობისას მისი მავნე ზემოქმედების ფაქტორი მოსახლეობასა და ზედაპირული წყლის ობიექტებზე უმნიშვნელოა;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების კონცენტრაციები ნაკლებია ნორმატიულზე;
3. მანქანა დანადგარების მუშაობისას არ იწვევს ხმაურის დონის დასაშვებ მნიშვნელობაზე გადაჭარბებას;
4. ობიექტი კანალიზირებულია, ნახმარი და ფეკალური წყლები იკრიბება და მიეწოდება ცენტრალურ კოლექტორს;
5. ობიექტზე წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც გაიტანება ცენტრალიზებურად და ჯართი, რომელიც გროვდება და ბარდება მიმღებ პუნქტებს;
6. კვანძებსა და შენობაში ყველა მოწყობილობა და დანადგარი უზრუნველყოფილია დამიწებითა და მეხამრიდით;
7. პროექტში მითითებული გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებათა შესრულების შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია განაგრძოს საქმიანობა, გარემოზე ყოველგვარი ნეგატიური ზემოქმედების რისკის გარეშე.

დავამატებთ მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების კონცენტრაციების ცხრილს, რომლის ძირითადი წილი მოდის შპს „ლორდი"-ს საწარმოს სულ სხვა I I უბანზე

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან	
	500მ. რადიუსის მანძილზე	უახლოეს დასახლებულ პუნქტთავ (750მ)
ძმარმჟავა	0.12	0.07
ნახშირჟანგი	0.3	0.3
პოლიმერული მტვერი	0.01	-
უჯერი ნახშირწყალბადები	-	-